

დედამიწის დღე — ყოველწლიური ღონისძიება, რომელიც 22 აპრილს აღინიშნება. ამ დღეს მსოფლიოს გარშემო იმართება გარემოს დაცვის მხარდასაჭერი ღონისძიებები. ის პირველად აღინიშნა 1970 წელს, დღესდღეობით კი დედამიწის დღის ქსელის მიერ მსოფლიო მასშტაბითაა კორდინირებული და ყოველწლიურად აღინიშნება 193 ქვეყანაზე მეტში.

1969 წელს სან-ფრანცისკოში გამართულ იუნესკოს კონფერენციაზე, მშვიდობის აქტივისტმა ჯონ მაკკონელმა წამოაყენა აზრი შექმნილიყო დედამიწის და მშვიდობის ცნების პატივსაცემი დღე და ის პირველად აღნიშნულიყო 1970 წლის 21 მარტს, გაბაფხულის პირველ დღეს ჩრდილოეთ ნახევარსფეროში. მოგვიანებით მაკკონელმა ამ დღის შესახებ გამოაქვეყნა ოფიციალური განცხადება, რომელსაც ხელი მოაწერა გაეროს გენერალურმა მდივანმა უ ტანმა. ერთი თვის შემდეგ შეერთებული შტატების სენატორმა გეილორდ ნელსონმა გარემოზე სამსჯელოდ დააფუძნა ცალკე დედამიწის დღე, რომელიც პირველად 1970 წლის 22 აპრილს გაიმართა. ნელსონმა მისი სამსახურისთვის მოგვიანებით თავისუფლების საპრემიენგო მედალი მიიღო. 22 აპრილის დედამიწის დღე კონცენტირებული იყო შეერთებულ შტატებზე, თუმცა დენის ჰეიესმა, რომელიც 1970 წელს თავდაპირველი საყოველთაო ორგანიზების კოორდინატორი იყო, შექმნა ორგანიზაცია, რომელმაც ამ დღეს საერთაშორისო სახე მისცა და 141 ქვეყანაში გაუკეთა ორგანიზება. მრავალი გაერთიანება დედამიწის კვირას აღნიშნავს, ერთ კვირიანი აქტივობები,

დაბინძურება — დამაბინძურებელი ნივთიერებების მოხვედრა ფიზიკურ გარემოში, რაც იწვევს მის ხარისხობრივ ცვლილებას, ცვლის ფიზიკურ სისტემებს და ზიანს აყენებს ან დისკომფორტს უქმნის ცოცხალ ორგანიზმებს. ადამიანთა საქმიანობა სერიოზულ ზიანს აყენებს გარემოს. გარემოს დაბინძურების ერთ-ერთი წყარო საყოფაცხოვრებო ნარჩენებია; თუმცა გაცილებით სერიოზულ ზიანს სამრეწველო საქარმოთა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის, ასევე სატრანსპორტო საქალებათა ფუნქციონირების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები იწვევს, რომლებიც ჰაერსაც აბინძურებს, წყალსაც და ნიადაგსაც. გარემოს დაბინძურება ახალი პრობლემა არაა. ექვსასი წლის წინ ლონდონის თავზე ჰაერი ქვანახშირის წვის პროდუქტით — სქელი კვამლით — იყო სავსე. დროთა განმავლობაში მრავალი კანონი გამოიცა, რათა ზოგიერთი სახის დაბინძურება შეწყვეტილიყო. დღეს ბევრი ქვეყნის მთავრობაში სავანგებო უწყებები არსებობს, რომლებსაც გარემოს დაბინძურების შემცირება ავალიათ. ჰაერის დაბინძურება — ფაბრიკა-ქარხნები, ელექტროსადგურები და ავტომანქანები უამრავ ნარჩენ აირს, ჭვარტლსა და მგვერს გამოყოფს ჰაერში. დაბინძურებული ჰაერი ადამიანს და სხვა ცოცხალ არსებას ფილტვებს უზიანებს. ჰაერის ზოგიერთი სახის დაბინძურებამ შეიძლება გონებასაც კი ავნოს. ჰაერში ნარჩენი აირების დაგროვება მკაფურ წვიმებს იწვევს, რომლებიც ხეებს, გბებს, მდინარეებსა და შენობებსაც კი აზიანებს. ოზონი აირია რომელიც აგმოსფეროს ზედა ფენებში ბუნებრივად წარმოიქმნება ქანგბადისაგან. ოზონის თხელი ფენა

ოზონის ფენას სხვადასხვა ოზონდამშლელი ნივთიერებები, მათ შორის ფრეონი ანადგურებს, რომელსაც მაცივრები და აერობოლები შეიცავს. თუ ოზონის ძირითადი ფენა დაზიანდა, კანის კიბოთი დაავადების შემთხვევები მოიმაგებს.

წყლის დაბინძურება — მკაფური წვიმები გბებსა და მდინარეებს აბინძურებს, თუმცა წყლის დაბინძურების მიზეზი მხოლოდ ეს არაა. მდინარეებსა და ზღვაში დღესაც ჩაედინება დასახლებების გაუშენდავი საკანალიზაციო წყალი, ასევე ქარხანა-ფაბრიკების ჩამდინარე წყალი, რომელიც მომწამლავი ქიმიური ნივთიერებები და ნარჩენებითაა დაბინძურებული. ამის შედეგად თევზები იხოცება და წყალმცენარეები ნადგურდება. სოფლის მეურნეობაში ხშირად იყენებენ ქიმიურ (ან ორგანულ) სასუქებსა და პესტიციდებს, რომლებიც ძლიერი წვიმის შედეგად შეიძლება წყლის ობიექტებში ჩაირეცხოს. ზღვას ძლიერ აბინძურებს განკერებიდან და ნავთობის კოშკურებიდან ჩაღვრილი ნავთობი.

ნიადაგის დაბინძურება — ნიადაგის დაბინძურებას დაუფიქრებლად გადაყრილი ნარჩენები იწვევს. ზოგიერთი სახის ნარჩენი სწრაფად ლპება, პლასტმასების უმეტესობა კი — არასოდეს.

უაღრესად სერიოზულ დაბინძურებას იწვევს ატომური ელექტროსადგურების რადიოაქტიური ნარჩენები. ამგვარ ნარჩენებს, ძირითადად, კონტეინერში ათავსებენ და ჰერმეტიკულად ხუფავენ, თუმცა მათი მცირე რაოდენობა მაინც ხვდება წყალში ან ჰაერში. მეცნიერებს აშფოთებთ ამგვარი დაბინძურების ხანგძლივი ზემოქმედება, რადგან რადიოაქტიური ნარჩენები ათასობით წლის

რომელიც გარემოს იმ პრობლემებს ეხება, რის წინაშეც მსოფლიო დგას.

დედამიწას იცავს მზის ულტრაიისფერი მაკნე სხივების ზემოქმედებისაგან.

განმავლობაში ინარჩუნებს მაკნე გამოსხივების უნარს.